ცნობის ფურცელი

№ 2045 ოთხშაბათი, 20 იანვარი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2045

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა **1903** წლისათვის

ყოველ დღიურ გაზეთ

„ცნობის ფურცელ“-ზე

სურათებიანის დამატებით კვირაში ორჯელ

(წელიწადი მერვე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიასა და რუსეთში:	საზღვარ-გარედ:
1 წლით—6 მ., 6 თვით—4 მ., 1 თვით—75 კ.	1 წლით—9 მ., 6 თვით—5 მ., 1 თვით—90 კ.

წლიურ ფასის განაწილება: ხელის-მოწერისათანავე 4 მან., დანარჩენიც 1-ლ მარტამდე.

ყოველ თვიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალ

„მოამბე“-ზე

(წელიწადი მეათე)

ფასი ჟურნალისა

კავკასიასა და რუსეთში:	საზღვარ-გარედ:
1 წლით—10 მ., 6 თვით—6 მ. 3 თვით—3 მ.	1 წლით—13 მ., 6 თვით—7 მ., 3 თვით—5 მ.

ვინც **„მოამბეს“** მთელის წლით გამოიწერს, **სურათებიანი დამატებანი** და **„ცნობის ფურცელი“** უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მან., რომელიც ხელის-მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი.

წლიურ ფასის განაწილება: პირველად—6 მ. ქალაქ-გარედ მცხოვრებთათვის, და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მ., 1-ლ აგვისტომდე დანარჩენი.

როგორც „ცნობის ფურცლის“, ისე „მოამბის“ ხელის-მომწერთ პრემიად გაეგზავნებათ

შოთა რუსთაველის

ახალი სურათი,

წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის საფოტოტიპიოში დამზადებული. სურათი ზომით 9×12 ვერშოკი იქმნება. ქალაქ გარედ ხელის მომწერთ 30 კაპეიკი უნდა წარმოუდგინონ რედაქციას სურათის გასაგზავნად. ეს სურათი ცალკე 1 მან. 50 კაპ. ღირება.

მომავალ წელს **„მოამბე“**-ში, სხვათა შორის, დაიბეჭდება რუსთა შესანიშნავ მწერლის **ლ. ნ. ტოლსტოის** რომანის „ვოინა ი მირ“-ის თარგმანი, „რომის ისტორია“ და სხვა.

რედაქცია და **კანტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე. **ტელეფონი № 372.**

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ и „Цнобисъ-Пурцели“.

მასაჟის კურსები

გედევანოვის საავადმყოფოში

ასწავლიან შემდეგ საგნებს:

მასაჟი და **გიმნასტიკა ავადმყოფობისა,** (ტეხნიკა-ჩვენებანი) და **საზოგადო პატალოგია:** დ—რი სობოლევსკი. **ანატომია,** დ—რი ა. გ. მაღალაშვილი; **ფიზიოლოგია** დ—რი ე. გ. ფედოროვი.

სწავლა დაიწყება 10 თებერვლიდან. **ფასი კურსებისა 30 მან.** კურსებზე ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე, დილის 9 საათიდან 2 საათამდე. (8—5)

ტფილისის
კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 9—10 საათამდე.

ნ. ტ. მულინი. ყურის, ყელის და ცხვირის 9—10.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი 9—10 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

ლ. ი. კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფ.: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11-მდის.

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა—ორშ. ოთხშ. და შაბათო 11½—12½.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ვ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 კვირაობით 10—11.

ა. გ. ბარხუდოვი—დედათა სნეულებანი, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.

ვ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ფრ. ვ. ხოდოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ვენერიული 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.).

მასაჟი და „შვედური გიმნასტიკა“, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 6 ს.—8 საათ. საღამოს.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანეთიდამ ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, №-21. (ავჭალის ქუჩის დასაწყისში).

ტელეფონი № 274 (წ.)

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, 38. (წლ.)

ექიმი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. **ტელეფონი 642**

ცინკოგრაფია

წიგნის. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

ახალი ამბავი

◆ **ტფილისის გუბერნატორმა მისწერა ქალაქის მოურავის** მოადგილეს, შემატყობინეთ, რატომ არ აასრულეთ ჩემი წინადადება და 14 იანვარს არ წარუდგინეთ საბჭოს საქმე სასწავლებელთა გამგე კომიტეტის კომისიად გადაკეთების შესახებაო.

◆ **ტფილისის ქალაქის საბჭო** დღევანდელ კრებაზე, სხვათა შორის, განიხილავს მოხსენებებს ხორცის ნიხრისა და ქალაქის ხორცის დუქნების შესახებ.

◆ **ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა კრება** დანიშნულია პირველ თებერვლისათვის.

◆ **თიანეთისა და თელავის მაზრების თავად-აზნაურთა კრება,** როგორც გვატყობინებენ, მოხდება 2 თებერვალს, თელავში.

◆ **ტფილისის საბჭოს საფინანსო კომისიამ** უკვე დაამთავრა ქალაქის ამა წლის სავარაუდო შემოსავლის განხილვა.

◆ როგორც გავიგეთ, მთავრობას აზრადა აქვს, ორხევში (ტფილისიდან 11 ვერსის მანძილზეა, კახეთის გზაზე) **რუსეთიდან გადმოსულნი დაასახლოს.**

◆ დღეს, 20 იანვარს, ვაჟთა პირველ გიმნაზიის სადგომში, მოხდება **პირუტყვთა მფარველ საზოგადოების კრება.**

◆ შაბათს, 18 იანვარს, ტფილისის ოლქის სასამართლოს სადგომში, ოლქის სასამართლოს უფროს თავმჯდომარის მ. მ. შარიგინის თავმჯდომარეობით სხდომა ჰქონდა კავკასიის **იურიდიულ საზოგადოების** წევრებს რამდენისამე საქმის განსახილველად. წვრიმალ საქმეთა განხილვის შემდეგ მთელი საღამო, ღამის 12 საათამდე, კრებამ, რომელსაც 20 კაცამდე დაესწრო, მოანდომა ტფილისის სამეურნეო საჭიროებათა საგუბერნიო კომიტეტის წინადადების განხილვას იმის შესახებ, სასურველია თუ არა სასამართლოს გამიჯვნელ განყოფილებისაგან გამიჯნული მიწები განთავისუფლებულ იქმნან ათის წლის მფლობელობის კანონის მოქმედებისაგან. ეს საკითხი განსახილველად წარუდგენია საგუბერნიო კომიტეტისათვის ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს. კომიტეტმა, ვიდრე რაიმე გადაწყვეტილებას დაადგებოდა, საკითხი განსახილველად გადასცა კავკასიის იურიდიულ საზოგადოებას. ამ საკითხმა იურიდიულ საზოგადოებაში ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. შემდეგ, 14 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 6 ხმისა, გარდასწყვიტა: სასურველი არ არის გამიჯნული მიწები განთავისუფლებულ იქმნან ათის წლის მფლობელობის კანონის მოქმედებისაგან, რადგანაც ეს კანონი საშიში არ არის იმისთვის, ვინც ცხოვრებაში ფხიზელია, იცის ფასი თვისის საკუთრებისა და ყოველთვის თვალ-ყურს უგდებს, ამის საკუთრებას არავინ დაეპატრონოსო. რადგანაც უკვე გვიან იყო, თავ. ჯანდიერის მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორ მოიწყოს სამეურნეო ნაწარმოებთა დაცვის საქმე, იურიდიულ საზოგადოების წევრთა კრებამ ვერ განიხილა, მომავალ თებერვლის პირველისათვის გადასდო. ამავე დღეს იურიდიული საზოგადოება განიხილავს ს. მ. არწრუნის მოხსენებას საოჯახო უფლების პროექტის შესახებ.

◆ **ტფილისის მოქალაქეთა** რწმუნებულების განსაკუთრებულ კომისიას, მოქალაქეთა სამართველოს შესანახად და სხვა ხარჯებისათვის ამა 1903 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში შეუტანია 29,525 მან., მეტი შარშანდელ ხარჯთ-აღრიცხვაზე 4.000 მანეთით. როგორც ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ მოხსენებას, ისე 46 სხვა საქმეებსაც მოქალაქეთა რწმუნებულნი განიხილავენ ოთხშაბათს, 22 იანვრის საზოგადო კრებაზე.

◆ პეტერბურგის უნივერსიტეტის სომეხ-სტუდენტებს, როგორც „არგონავტი“ გადმოგვცემს, განუზრახავთ გამოსცენ **სომხურ ენაზე სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი.** სტუდენტებს აზრადა აქვთ მონაწილეობის მისაღებად მიიწვიონ სომხთა საუკეთესო ლიტერატორნი.

◆ **სამხედრო საქართველოს გზაზე,** წილკანსა და დუშეთს შუა, ადგილ-ადგილ ისეთი დიდი თოვლი მოსულა, რომ გზა შეკრულა. გზის გაწმენდას უკვე შესდგომიან.

ტიათურის შავი-ქვის მრეწველთა საზოგადო კრება

16 იანვარი

სხდომა დილის 11 საათზე დაიწყო. თავმჯდომარემ ბ-ნმა ცეიტლინმა გამოაცხადა, 15 იანვრის სხდომის ოქმი დღეს არ იქმნება წაკითხული, რადგან საბჭოს ჯერ არ გაუთავებია თავისი განმარტება სარევიზიო კომისიის მოხსენების შესახებ; შემდეგში ორის დღის ოქმს ერთად წავიკითხავთო.

გ. ფ. ზდანოვიჩი: რადგან ჯერ გუშინდელი ოქმი არაა დამთავრებული, ვსთხოვ კრებას, ის კამათი, რომელიც გამოიწვია საბჭოს მიერ სხვა-და-სხვა საქმისათვის მოწვეულ ინჟენრების ჯილდომ, არ იქმნეს ოქმში შეტანილი, რადგან შემდეგში აღარავინ მოჰკიდებს ხელს ჩვენს საქმეს, როდესაც წაიკითხავს, კრება ასე ექცევა ჩვენს მოქმედებასო.

ნ. გ. ჭიჭინაძემ მოითხოვა, რომ კამათი უსათუოდ შეტანილ იქმნეს ოქმში, რადგან მაინც ყველა გაიგებს გაზეთების საშუალებითაო.

თავ. ი. ნიჟარაძე: მარტო ექიმი ჭიჭინაძე კრებას არ შეადგენს; სხვებსაც ჰკითხეთ.

გ. ფ. ზდანოვიჩი: თუ ყველა თანახმა იქმნება, თორემ ისე არ შეიძლება.

ფეხზე სდგება საზოგადოების თითქმის ¾.

ბ-ნი გამყრელიძე (რომელიც თვითონაც ადგა): ასე წამოდგომით კაცი ვერაფერს გაიგებს; ზოგს არც კი ესმის, რაშია საქმე, და თუ სდგება, მხოლოდ იმისათვის, რომ იმის გვერდით მსხდომი ადგა.

თავ. ი. ნიჟარაძე: მადლობას მოგახსენებთ! მაშ ჩვენ აქ იმდენად ყრუები ვართ, რომ, რაც ჰხდება, არ გვესმის და მხოლოდ ფეხის ხმას მივყვებით.

გამყრელიძე: მე სრულიადაც მაგ აზრით არ მითქვამს; მე მხოლოდ ის მინდოდა მეთქვა, ბევრმა რუსული არ იცის და საჭიროა ქართულად გავაგებინოთ.

თავმჯდომარემ მოსპო კამათი ამ საგნის შესახებ.

გ. ფ. ზდანოვიჩმა განაგრძო თავისი განმარტებანი: სარევიზიო კომისია გვისაყვედურებს, რატომ შემოსავლის სავარაუდო აღრიცხვა და წყაროები არაა ნაჩვენები ანგარიშშიო. ამ წლამდის ჩვენ არავითარი დაწესებულება არ გვქონია ისეთი, რომ შემოსავალი მოეცა; ეხლაც მხოლოდ ერთად-ერთი აბანოა. ბაქოს ნავთის მწარმოებელთ აქვთ ისეთი შემოსავლიანი წყაროები, რომელთა განსაზღვრაც შეიძლება. ჩვენს ერთად ერთს შემოსავალს კი ½ კაპეიკიანი საფუთო გადასახადი შეადგენს; მაგრამ ყველას მოეხსენება, თუ რამდენად მუდმივია შავი-ქვის ფასი; სწორედ ამიტომ საბჭომ ვერ შეიტანა ანგარიშში ეს შემოსავლის წყარო; თუ კაცს ფეხ-ქვეშ რამ რეალური ნიადაგი არა აქვს, ისე ანგარიშის შედგენა არ შეიძლება. შემდეგ: სარევიზიო კომისია გვისაყვედურებს, რატომ საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეთათვის ერთის საზომის მიხედვით არ მიგიციათ ჯილდო, თავ. ლეონიძისათვის მთელის წლის განმავლობაში 2000 მანეთი მიგიციათ და ბ-ნ ავგერინოსათვის კი თვეში 333 მანეთიო. საბჭოს წევრთ სხვა-და-სხვა გვარი შეხედულობა ჰქონდათ ამ ჯილდოზე. ბოლოს ამ აზრს დაადგნენ: თავმჯდომარის მოადგილე მხოლოდ მაშინ იღებს ჯამაგირს, როდესაც თავმჯდომარის მაგივრად მუშაობს,

და იღებს იმ საზომით, როგორითაც თვითონ თავმჯდომარე—ამას კი 4000 მანეთი აქვს წელიწადში. მაგრამ, რადგან შეუძლებელია, თავმჯდომარემ წლის განმავლობაში ექვს თვეზე მეტი გაუშვას, ამიტომ იმის მოადგილისათვის ნაანგარიშევია ნახევარის წლის 2000 მანეთი; ამგვარად, თვიურად, როგორც თავ. ლეონიძე, ისე ბ-ნი ავალიანი ერთნაირ ჯილდოს იღებდნენ—333 მან.

იას. ზ. კაკაბაძე: თვითონ თავმჯდომარე ამ დროს იღებს ჯამაგირს, თუ არა?

გ. ფ. ზდანოვიჩი: იღებს.

იას. ზ. კაკაბაძე: როდესაც, მაგალითად, ბერლინშია, მაშინ ჯამაგირსაც იღებს და „პროგონის“ ფულსაც?

გ. ფ. ზდანოვიჩი: იღებს. ეს ხომ ყველგან ასეა.

ხმები (დაცინვით): ვაშა, კაკაბაძე, ვაშა!

გ. ფ. ზდანოვიჩი: გვისაყვედურებენ აგრეთვე, რატომ საბჭოს წევრთ სხდომების დროს 15 მანეთს გარდა თითოს კიდევ 15 მანეთი ეძლევათო. როგორც ბ-ნმა ემერიკმა ბრძანა გუშინ, ეს დამატებითი 15 მანეთი მხოლოდ მაშინ ეძლევათ, როდესაც სხდომა ქიათურაში ხდება, ეძლევათ გზისა და დღიურ ხარჯად. მე უარს არა ვყოფ, იქნება ფორმალურად კანონი ირღვევა ამით, რადგან კრებისაგან არ გვქონია ნებართვა, მაგრამ შემძლია დავარწმუნო კრება, რომ წევრთ თითო წასვლა-წამოსვლაზე 15 მანეთი კი არა, როგორც გუშინ ბ-ნმა ემერიკმაც სთქვა, 30 მანეთიც არა ჰყოფნით.

ნ. გ. ჭიჭინაძე: ყოველ შემთხვევაში ეს დამატებითი 15 მანეთი მხოლოდ იმ დროიდან უნდა მიეღოთ წევრთ, როდესაც საბჭოს დადგენილება მოხდა; იმათ კი წინა თვეებისაც მიუღიათ ყოველი კანონი მომავლისათვის იწერება და არა წარსულისთვის.

გ. ფ. ზდანოვიჩი: ფორმალური წესი რომ დარღვეულია, ამას სრულიადაც არ უარვყოფ. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვდა, რომ შრომისათვის დღიური ხარჯი მაინც მისცემოდა საბჭოს წევრთ. **დონ-ვალიანი.**

წერილი კავკავიდან

წმ. ნინოს დღესასწაული

14 იანვარს კავკავის ქართველობამ იდღესასწაულა ქართველთა განმანათლებლის წმ. ნინოს დღე. ეპისკოპოსის ვლადიმერის აქ არ ყოფნისა გამო, სკოლის გამგემ ზ. ა. გოთუამ მოიწვია ქალაქის სამღვდელოება, რომელმაც შეასრულა წირვა და პარაკლისი. ქართულად გალობდნენ ქართულ სკოლის მოწაფენი მასწავლებლის გ. ჩუტურაშვილის დირიჟორობით. დაესწრნენ სახაზინო სკოლების დირექტორი და ინსპექტორი, ქალაქის მოურავი, პოლიცმეისტერი და აუარებელი ქართველობა. წირვის შემდეგ, სამღვდელოება და საპატიო სტუმრები მიიწვიეს სკოლისავე შენობაში ქართველთა საერთო სადილზე; ქართველებს ჩვეულებად აქვთ ყოველ წელს, ნინობას, ერთად მოიყარონ ხოლმე თავი საერთო სადილზე. სადილზე ბევრი სიტყვა წარმოითქვა. სხვათა შორის, ნადიმის უფროსმა ქალაქის მოურავმა ბ-ნმა ფრიდკოვმა ადღეგრძელა „ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოება“, იმისი გამგეობა და თავმჯდომარე და უსურვა წინ სვლა და წარმატება, რასაც ყველა დამსწრენი სიხარულით და ვაშას ძახილით მიეგებნენ.

სადილის დროს ქართველთა შორის აღიძრა ლაპარაკი იმას შესახებ, რომ აშენდეს კარგი დიდი და მოწყობილი დარბაზი, სადაც უნდა იმართებოდეს სახალხო კითხვები და წარმოდგენები, რადგან ამ მხრივ სკოლის დღევანდელი შენობა მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს. ამ აზრს ქართველნი სიხარულით მიეგებნენ. ქალაქის თავმა ბ-ნმა ფრიდკოვმაც ყოველ გვარი დახმარება აღუთქვა. სტუმრები 5 საათზე დაიშალნენ.

ამავე დღეს, საღამოს შვიდ საათზე, სკოლისავე დარბაზში გამართულ იქმნა „შობის ხე“ მოსწავლეთათვის. კარებზე ხალხიც ბევრი დაესწრო. აჩვენეს აგრეთვე ბუნდოვანი სურათები. შობის ხე მშვენივრად მორთულ-მოკაზმული იყო მასწავლებელთა მიერ. სურათების შემდეგ ყმაწვილებმა იმღერეს ქართული და რუსული სიმღერები, სთქვეს ლექსები ქართულად და რუსულად. შემდეგ გაიმართა ლეკური, რამაც გასტანა ღამის ათ საათამდე. დასასრულ მოსწავლეებს დაურიგეს თითო პარკი ტკბილეულობა.

ბ. ღუდუშაური.

დაბა-სოფლები

ზუამთა (იმერეთი). სწორედ ჯოჯოხეთური გზებია დღეს ჩვენსკენ: მუხლებამდე ტალახი სდგას ყველგან და მეტად უჭირთ გავლა არა მარტო ქვეითებს, არამედ ცხენოსნებსაც, ეტლები ხომ დიდის ვაი-ვაგლახით დადიოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ სავალდებულოდ მიჰყავთ მგზავრები, ფასს მაინც მომეტებულს ახდევინებენ. ფაეტონი სამტრედიიდან ზუამთამდე დაწესებულ ნიხრისამებრ ჰქონის 1 მან. 50 კაპ., დღეს იღებენ 3 და 4 მანეთს. აქაურ დილიჟანებმაც წაჰხედეს ამათ და გაადიდეს ფასი. ან კი რა ჰქნან! უგალითო უგზოობის ბრალია. ამას წინად ერთ მეეტლეს ეტლი და ცხენები მდინარის ნაპირას დაეღუპა. მთელი ერთი საათი ეწვალა, მაგრამ ვერას გახდა. ბოლოს იქირავა ორი უღელი ხარი, დაუბა ეტლს და დიდის გაჭირვებით, მგზავრების დახმარებით, ათრია ნაპირზე. ამგვარი სცენები აქეთ ძალიან ხშირია. უგზოობის გამო ტობანიერის ორკლასიან სასწავლებელში მოსწავლენი ძლივს-და იყრიან თავს ათ საათამდე. ეკლესიაში მისვლა ხომ შეუძლებელია, რადგან საეკლესიო გზა აქეთ სრულებით უყურადღებოდ არის მიტოვებული. მღვდელი და მედავითნე ან ცხენით, ან ჯორით როგორმე მოვლენ ხოლმე და სწირავენ ცარიელ ეკლესიაში. ცხრას ამ თვეს მოსთოვა აქეთ ნახევარ არშინამდე; 11 და 12-ს ძლიერ მაგარი ყინვები იყო, წისქვილები დაჰყინა და გააჩერა ყველგან, გზები შეჰკრა და დილიჟანსები შეაჩერა. ხალხი მეტად შეაწუხა უზომო სიცივემ.

შობა-ახალ-წელ-ნათლისღებას აქეთ „ღვეძლობის“ სეზონია. ღვეძელი არის ყველ-კვერცხით გატენილი პური, სიგრძით ერთ, ხოლო სიგანით ნახევარ არშინამდე. ნათლისღების წინა დღეს ნათლულის დედა უგზავნის ნათლიას ძღვნად ღვეძლებს, ქათმებს, ინდაურს, ღვინოს, ხილს და სხვა ფეშქაშს. ნათლია ვალდებულია მეორე დღისათვის გაუგზავნოს ცხენები ნათლულის მშობლებს და მოიპატიჟოს სადილად. ჩვეულებრივ მოლხენის შემდეგ, საღამოს ან მეორე დღეს ნათლისღების შემდეგ, ნათლი-დედა ჰბრუნდება სახლში; ნათლიამ უნდა დაასაჩუქროს როგორც ნათლი დედა, ისე ნათლულიც და გაისტუმროს ისე. ეს ჩვეულება მეტად უხერხულ მდგომარეობაში აგდებს ხშირად ნათლიას; ზოგს ისეთი მდიდარი ძღვენი მოსდის, რომ ნათლიამ არ იცის, რით დაასაჩუქროს ნათლი დედა; ჰფიქრობს, სწუხს; თუ არაფერი მოეძებნება ჯიბეში, ვალს იღებს, ფულს სესხულობს, რომ უმადური არ გაუშვას ნათლი-დედა; აბა რა ჰქნას, როდესაც სირცხვილი აწუხებს. აი, მაგალითად, მახლობელ სოფელში ნათლი-დედამ როგორი ძღვენი გაუგზავნა წასულ წლებში თავის ნათლიას: ცალი ხარი, ერთი საპალნე ღვინო, ცხვარი, ბურვაკი, ინდაური, ქათმები, არაყი, ხილი და ჩურჩხელები, ჩოხა-ახალუხი, ყაბალახი, საცვლები, წინდები, პარისხალი და ქოსა.

შემოეყარა გულს საბრალო ნათლიას, როდესაც ასეთი ძღვენი ჩაუვიდა ურმით ეზოში და თან უკან ნათლიმამა-ნათლიდედაც ჩაჰყვნენ. რაღას იზამდა, ორი დღე ალხინა და აქეიფა სტუმრები. ბოლოს ერთი ქცევა ადგილი აწუქა და გაისტუმრა! ბევრი ამისთანა ჩვეულებაა ჩვენს იმერეთში.

ქიტესაშვილი

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

18 იანვარი.

კონსტანტინეპოლი. ხმა, ვითომც ოსმალეთის მთავრობამ უკანვე დაიბარა სოფიიდან თავისი კომისარი, მართალი არ არის; ის კონსტანტინეპოლში მოვიდა მხოლოდ იმიტომ, რომ მთავრობისათვის მოეხსენებინა ბულგარიაში საქმეთა მდგომარეობისა და მაკედონიის საქმეების შესახებ და ისევ დაბრუნდა სოფიაში.—მონასტირის ვილაიეტის ქალაქ რესენში დაიპატიმრეს მაკედონელთა კომიტეტის შიკრიკი; მას უნახეს ცირკულიარები, რომელთა განხილვის შემდეგ სხვებიც დაიპატიმრეს.—მსოფლიო პატრიარქმა ეპისტოლე გაუგზავნა მაკედონიის მიტროპოლიტებს, რომლითაც ურჩია ერიდონ შინაურ განხეთქილებას.—იემენში არაბთა რამდენიმე ტომი ოსმალეთის ბატონობის წინააღმდეგ აჯანყდა; სულთანმა ბრძანა აჯანყებულთა დასამშვიდებლად ჯარები გაიგზავნოს.

ჰონკონგი. აქა და კანტონში რამდენიმე კაცი დაატუსაღეს; ამ გარემოებას უკავშირებენ მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულობას, რომელიც ეხლახან აღმოაჩინეს. მთავრობამ იარაღიც ჩაიგდო ხელში. დიდ უწესობას არ მოელიან.

ლონდონი. „რეიტერის სააგენტო“ იტყობინება, რომ ვენეცუელას საბაჟოთა შემოსავლის 30°/o-დან დარჩენილი ფული მოხმარდება სხვა სახელმწიფოთა მოთხოვნის დაკმაყოფილებას. გერმანიისა, ინგლისისა და იტალიის მოთხოვნა დაკმაყოფილებულ იქნება დაახლოებით ექვსის წლის განმავლობაში.

ნიუ იორკი. „მორნინგ პოსტ“-ი იტყობინება, ნიაგარის ჩანჩქარის ელექტრონის სახელოსნოები დაიწვარა.

ვენა. პალატამ მიიღო ბრიუსსელის შაქრის კონვენცია.

რომი. პალატაში ფოსტისა და ტელეგრაფის მინისტრმა განაცხადა, რომ წარმოადგენს პროექტს რომისა და ამერიკას შუა უშუალო ტელეგრაფის სადგურების აგების შესახებ.

პალატამ მიიღო ბრიუსსელის კონფერენციის შაქრის კონვენცია.

პარიზი. ზღვათა მინისტრმა დეპეშა მიიღო, რომლითაც აცნობებენ ჯავშნიანი გემები „გოლუა“ და „ბუვე“ ვარჯიშობის დროს ერთმანეთს დაეჯახნენ.

19 იანვარი.

მოსკოვი. კურსკის რკინის გზის სადგურ ზმიევკაზე მგზავრთა მატარებელი საქონლის მატარებელს დაეჯახა; დაიმსხვრა 11 საქონლის ვაგონი. უბედურება არავის შეჰხვედრია.

პარიზი. პალატამ მიიღო წინადადება, რომ ტერიტორიალურ ჯარში დარჩეს ისევ სავარჯიშოდ 30 დღით გამოწვევა ვადა-გათავებულ ჯარის კაცთათვის; წინადადება იმის შესახებ, რომ მოსპობილ იქნეს და აგრეთვე იმის შესახებ, რომ 28 დღემდე შემცირდეს ეს ვადა, მინისტრის წინადადებით კომისიას გარდაეცა განსახილველად.

მიტავა. ბალტიის მხარის ზოგიერთ ადგილებში პურის ნაკლებობაა. საჭირო შეიქმნა შემწირულებათა მოგროვება. ადმინისტრაცია მზრუნველობს თესლის მოპოვებისათვის ხალხში დასარიგებლად.

ლონდონი. „რეიტერის სააგენტოს“ ჰგონია, რომ ვენეცუელას საქმეთა გამო მოლაპარაკება კარგად მიდის და მალე დამთავრდება.

ვაშინგტონი. „რეიტერის სააგენტო“ უარ ჰყოფს იმ ცნობას, ვითომც მოკავშირე სახელმწიფოებმა პასუხი გაჰგზავნეს ბოუენის უკანასკნელ წინადადებაზე. თუ ბოუენის წინადადება უარ ყოფილ იქმნა, იგი შეატყობინებს სახელმწიფოებს, რომ მათი ინტერესები ვენეცუელაში საშიშ მდგომარეობაშია; მაშინ საფრანგეთი პროტესტს გამოუცხადებს ინგლის, იტალიას და გერმანიას; საფრანგეთს, ალბად, შეერთებული შტატებიც მიემხრობა.

კატანია. სოფელ მიდოში მიწის ძვრა იყო. მიწის ძვრა იგრძნეს აგრეთვე ასირეალსა და კატანიაში.

ბრიუსელი. გარეშე საქმეთა სამინისტროს წარედგინა ნიდერლანდიის მთავრობის განცხადება შაქრის კონვენციის დამტკიცების შესახებ.

ვენა. ზედა პალატამ მიიღო ბრიუსელის კონვენცია და ორივე პროექტი შაქრის შესახებ.

პარიზი. პალატა არჩევს სამხედრო სამინისტროს ბიუჯეტს. მომხსენებელი მაჟანი ამბობს, რომ საფრანგეთი უარს არა ჰყოფს არც ერთ თავის მოთხოვნას და აღნიშნავს, რომ ჟორესის განმარტებამ ბოლო უნდა მოუღოს მის შესახებ სხვა და სხვა ბრალდებას. მაჟანი დასძენს, რომ ძლიერი მხედრობა საუკეთესო გარანტია არის დემოკრატიულის რესპუბლიკისათვის. „ჩვენ გვყავს ეხლა პირველი ხარისხის მხედრობა სათადარიგო ჯარებით, რომელთა რიცხვი გერმანელთა ჯარებს უდრის. ჩვენ უნდა გვყავდეს ჯარი იმის მიხედვით, თუ რამდენი დაგვჭირდება ომიანობის დროს“. მომხსენებელი მიმართავს პალატის პატრიოტიზმს მხედრობის რეორგანიზაციის საქმეში (ტაშის ცემა). ის ჰფიქრობს, რომ სამხედრო სამსახურის ორის წლის ვადა მხედრობას გააძლიერებს და საფრანგეთისთვის საჭიროა (ტაშის ცემა).

პეტერბურგი. 17 იანვარს ხელმწიფე იმპერატორს წარუდგა რუსეთის წარმომადგენელი სოფიაში ბახმეტიევი.

კონსტანტინეპოლი. ოსმალეთის ცნობებით ოხრიდის ოლქში ჯარებს შეტაკება მოუვიდათ დიდ ბრბოსთან, რომელიც ბოლოს გაიქცა.

პეტერბურგი. 18 იანვარს ტანთ-საცმელის საერთაშორისო გამოფენა დაათვალიერეს დიდმა მთავრინებმა ქსენია ალექსანდრეს ასულმა, მარიამ გიორგის ასულმა და დიდმა მთავარმა გიორგი მიხეილის ძემ.

რედაქტორ-გამომცემელი ლ. ჯაგადარი

გამოსავალი ცხრილი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს, 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 7 /71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვოსა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპანამდე: საღამოს 11 ს. 28 წ. (12 ს. 21 წ.)

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ:—1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევს 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.).; 3 სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) (პარასკეობით) პირდაპირ მოსკოვიდან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს, 58 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 40 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ:—1) ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.); 2) ნაშუადღევს 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.)! 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.)

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევს 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:—საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 . 28 წ.).

განცხადებანი

„წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის“

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—მოსე ჯანაშვილისა	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი მოთხრობა—მელანიასი	—	20
დ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	—
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა—დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუისა—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
„ამზარეული—ქართული და ევროპიული საჭმელებისა	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
დვინის დაქცევა [illegible] გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძ. მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილით, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	20
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	25

პროვინციელთ შეუძლიათ წიგნები ფას დადებით გამოიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი წინდაწინ უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიათ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

ესევე წიგნები იყიდება ქუთაისში, ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ყურში.

Дозв. ценз. Тифлисъ, 19 января, 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).